



# თაფლის ექსპორტის გზამკვლევი

სექტემბერი 2019

## განმარტებები

აშშ	ამერიკის შეერთებული შტატები
კვ.მ	კვადრატული მეტრი
კგ	კილოგრამი
მშპ	მთლიანი შიდა პროდუქტი
სეს	სურსათის ეროვნული სააგენტო
სეს ესნ	საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურა
HACCP	საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების სისტემა
TRACES	ვაჭრობის კონტროლისა და ექსპერტის სისტემა

## სარჩევი

განმარტებები .....	2
შესავალი .....	5
თაფლის წარმოების სტატისტიკა .....	6
სურსათის უვნებლობა თაფლის სექტორში, კანონები და რეგულაციები .....	7
თაფლის ექსპორტის პროცესში მონაწილე მხარეთა ვალდებულებები .....	8
მეფუტკრე .....	8
თაფლის საწარმო .....	8
ლაბორატორიები .....	9
სურსათის ეროვნული სააგენტო .....	9
როგორ დავაკმაყოფილოთ თაფლის ხარისხობრივი და უვნებლობის მოთხოვნები .....	10
თაფლის ექსპორტის პროცესის მიმოხილვა .....	12
ნაბიჯი 1: ბიზნესოპერატორად რეგისტრაცია .....	13
ნაბიჯი 2: ბიზნესოპერატორად აღიარება .....	13
ნაბიჯი 3: საექსპორტო დოკუმენტაცია .....	13
ნაბიჯი 4: საექსპორტო პროდუქტის ტრანსპორტირება .....	14
საექსპორტო დოკუმენტაცია დეტალებში .....	15
ვეტერინარული სერტიფიკატი .....	15
წარმოშობის სერტიფიკატი .....	16
კომერციული დოკუმენტები .....	18
სატრანსპორტო დოკუმენტები .....	19
საბაჟო დეკლარაცია .....	20
რამდენიმე რჩევა თაფლის ექსპორტით დაინტერესებულ კომპანიებს .....	20

პოტენციური საექსპორტო ქვეყნებისა და ქვეყანათა გაერთიანებების მიმოხილვა .....22

    ევროკავშირი .....22

    ამერიკის შეერთებული შტატები .....24

    თურქეთის რესპუბლიკა .....27

    აზერბაიჯანის რესპუბლიკა .....28

    სომხეთის რესპუბლიკა .....29

    რუსეთის ფედერაცია.....30

    სპარსეთის ყურის ქვეყნები .....31

    იაპონია.....32

    ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა.....33

ექსპორტის პროცესში ჩართული და ხელშემწყობი ორგანიზაციები.....34

    დანართი 1 – როგორ უნდა ავირიდოთ ანტიბიოტიკების შემცველობა თაფლში.....38

    დანართი 2 - პროდუქციის ტრანსპორტირება .....39

    დანართი 3 - საექსპორტო დოკუმენტების ნიმუშები .....40

## შესავალი

თაფლის ექსპორტის გზამკვლევის მიზანია თაფლის სექტორში მონაწილე მხარეებს აუმაღლოს ცნობიერება ექსპორტის საკითხებზე, მიაწოდოს სურსათის უვნებლობის შესახებ ის ძირითადი ინფორმაცია, რომელიც თაფლისა და ფუტკრის სხვა პროდუქტების წარმოებისა და ექსპორტის პროცესში გამოადგებათ, განსაზღვროს თაფლის სექტორის მთავარი სტეიქჰოლდერების - მეფუტკრეების, თაფლის მწარმოებელი კომპანიების, სურსათის ეროვნული სააგენტოსა და ლაბორატორიების როლი და პასუხისმგებლობა. აღნიშნული გზამკვლევი აღწერს იმ ძირითად ეტაპებს, რომლებიც თაფლის ექსპორტის პროცესში უნდა გაიაროს მეწარმემ, განსაზღვრავს ექსპორტისთვის საჭირო დოკუმენტაციას, გვაწვდის ტრანსპორტირების პროცესში გასათვალისწინებელ ინფორმაციას და გვთავაზობს იმ ქვეყნებისა და ქვეყანათა გაერთიანებების მოკლე მიმოხილვას, რომლებიც საინტერესოა ქართული თაფლის ექსპორტის თვალსაზრისით. გზამკვლევი წარმოდგენილი ინფორმაციის გათვალისწინება უზრუნველყოფს თაფლის ექსპორტის შეუფერხებელ პროცესს.

აღნიშნული გზამკვლელი მომზადებულია საქართველოს ბიზნესის ინსტიტუტის მიერ ([www.business.org.ge](http://www.business.org.ge)) 2019 წლის 19 სექტემბრის მდგომარეობით. გზამკვლევის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია საქართველოს ბიზნესის ინსტიტუტი. საქართველოს ბიზნესის ინსტიტუტი არ არის პასუხისმგებელი კონკრეტული საექსპორტო ოპერაციების განხორციელებაზე, სახელმწიფო ორგანიზაციებისა და კერძო კომპანიების ქმედებებზე და ექსპორტის რეგულაციების ცვლილებებზე. გადაწყვეტილების მიღებამდე ყველა საკითხი დააზუსტეთ ამ სახელმძღვანელოში მითითებული ორგანიზაციების სპეციალისტებთან, ექსპორტ-იმპორტის პრაქტიკოსებთან და კონსულტანტებთან.

## თაფლის წარმოების სტატისტიკა

თაფლის წარმოება (ათასი ტონა)			
რეგიონები	2016	2017	2018
კახეთი	0.8	0.9	0.6
იმერეთი	0.3	0.4	0.8
სამეგრელო - ზემო სვანეთი	0.3	0.3	0.3
ქვემო ქართლი	0.1	0.3	0.1
სამცხე ჯავახეთი	0.2	0.1	0.1
აჭარის არ	0.1	0.1	0.1
შიდა ქართლი	0.1	0.1	0.1
სხვა რეგიონები	0.2	0.3	0.4
<b>ჯამი</b>	<b>2.1</b>	<b>2.5</b>	<b>2.5</b>

2017	ექსპორტი	იმპორტი
მოცულობა (ტონა)	2.2	45.5
ფასი (ათასი \$)	15.8	117.5
საშუალო ფასი (\$/კგ)	5.56	2.98

2018	ექსპორტი	იმპორტი
მოცულობა (ტონა)	21.0	21.8
ფასი (ათასი \$)	69.5	81.8
საშუალო ფასი (\$/კგ)	7.00	2.59

**შენიშვნა:** 2018 წლის იმპორტ-ექსპორტის მონაცემები შეიცავს რუსეთიდან იმპორტირებულ და რეექსპორტზე გატანილ 17,7 ტონა თაფლს.

სავაჭრო პროდუქტის კლასიფიცირებისა და მასზე საბაჟო მოსაკრებლის განსაზღვრის მიზნით გამოიყენება „საქონლის აღწერის და კოდირების ჰარმონიზებული სისტემის“ მიერ დადგენილი საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურა (სეს ესნ).

თაფლის სეს ესნ: 0409 00 000 00

## სურსათის უვნებლობა თაფლის სექტორში, კანონები და რეგულაციები

<b>საქართველოს კანონი:</b> სურსათის/ცხოველის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი.
<b>საქართველოს მთავრობის დადგენილება #714:</b> „თაფლის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტი.
<b>საქართველოს მთავრობის დადგენილება #173:</b> „სურსათის/ცხოველის საკვების ჰიგიენის ზოგადი წესისა“ და „სურსათის/ცხოველის საკვების ჰიგიენის გამარტივებული წესის“ ტექნიკური რეგლამენტი.
<b>საქართველოს მთავრობის დადგენილება #577:</b> „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში მიკვლევადობის ზოგადი პრინციპების და მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“.
<b>საქართველოს მთავრობის დადგენილება #639:</b> „ფარმაკოლოგიურად აქტიური ნივთიერებების, მათი კლასიფიკაციისა და ცხოველური წარმოშობის სურსათში ნარჩენების მაქსიმალური ზღვრის შესახებ“.
<b>საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება #301/ნ:</b> სასურსათო ნედლეულისა და კვების პროდუქტების ხარისხისა და უსაფრთხოების სანიტარული წესებისა და ნორმების დამტკიცების შესახებ.
<b>საქართველოს მთავრობის დადგენილება #441:</b> „სურსათის ეტიკეტირებისადმი დამატებითი მოთხოვნების შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტი.

აღნიშნული ნორმატიული აქტები და რეგულაციები შეგიძლიათ იხილოთ საქართველოს საკანონმდებლო მაცნის ვებ-გვერდზე: [www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge)

ფუტკრის დაავადების შემთხვევაში თაფლის მწარმოებელი ვალდებულია გამოიყენოს მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით დაშვებული ვეტერინარული პრეპარატები. ამ პრეპარატების ნუსხა განთავსებულია სურსათის ეროვნული სააგენტოს ვებ-გვერდზე [www.nfa.gov.ge](http://www.nfa.gov.ge)

# თაფლის ექსპორტის პროცესში მონაწილე მხარეთა ვალდებულებები

## მეფუტკრე

მეფუტკრე ვალდებულია:

აწარმოოს საფუტკრეში ჩატარებული სამუშაოების შესახებ ჩანაწერები, მათ შორის გამოყენებული ვეტერინარული პრეპარატებისა და ხელოვნური საკვების მიცემის პერიოდების შესახებ.
არ გამოიყენოს აკრძალული ანტიბიოტიკები და არაეტიკური პრეპარატები, თაფლის ხელოვნური საკვების (შაქრის სიროფი და სხვ.) გამოყენების შემთხვევაში დაიცვას გამოყენების პერიოდი და დოზა. დეტალური ინფორმაცია იხილეთ დანართში #1 - 'როგორ უნდა ავირიდოთ თაფლში ანტიბიოტიკების შემცველობა, გვ.38.
ხელმეორედ არ გამოიყენოს/გაყიდოს ანტიბიოტიკებით დაბინძურებული ფიჭა.
თაფლი შეინახოს სურსათისთვის, განსაკუთრებით კი თაფლისთვის დასაშვებ ჭურჭელში.

## თაფლის საწარმო

თაფლის საწარმო ვალდებულია:

მოახდინოს თაფლის მომწოდებლების ინფორმირება აკრძალული ანტიბიოტიკების შესახებ.
რეგულარულად აწარმოოს თაფლის მომწოდებლების საფუტკრის მონიტორინგი.
რეგულარულად შეამოწმოს ჩაბარებული თაფლი ხარისხობრივ და უვნებლობის პარამეტრებზე.
მოახდინოს მეფუტკრის ინფორმირება მის თაფლში აღმოჩენილი დამაბინძურებელი ნარჩენების/ინვერსირებული შაქრების შესახებ.



უზრუნველყოს თავლის შენახვა სურსათისთვის, განსაკუთრებით კი თავლისთვის დასაშვებ ჭურჭელში.

თავლი უნდა იყოს ეტიკეტირებული. ეტიკეტზე განთავსებული ინფორმაცია უნდა იყოს მარტივად წაკითხვადი და შეიცავდეს:

- პროდუქტის დასახელებას.
- პროდუქტის შემადგენლობას (მათ შორის ისეთი ინგრედიენტების (ალერგენები), რომლებმაც შეიძლება გამოწვიოს გაძლიერებული მგრძნობელობა).
- წარმოშობის ქვეყანას.
- საწარმოს მისამართსა და საკონტაქტო ინფორმაციას.
- თავლის პარტიის ნომერსა და წარმოების თარიღს.

შენიშვნა: თავლის მწარმოებელ კომპანიას, რომელსაც სურს თავლის ექსპორტზე გატანა, დანერგილი უნდა ჰქონდეს საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების სისტემა (HACCP). დეტალური ინფორმაცია იხილეთ ვებ გვერდზე: [www.business.org.ge](http://www.business.org.ge)

## ლაბორატორიები

ლაბორატორია ვალდებულია:

უზრუნველყოს თავლის შემოწმება იმპორტიორი/სამიზნე ქვეყნის მიერ მოთხოვნილ ყველა პარამეტრზე.

სასურველია, ექსპორტიორმა კომპანიამ შეისწავლოს ლაბორატორიული სერვისები და ტარიფები წინასწარ და შეარჩიოს ისეთი ლაბორატორია, რომელიც ყველა საჭირო პარამეტრზე უზრუნველყოფს თავლის შემოწმებას. საქართველოში არსებული ლაბორატორიების უმრავლესობა ახდენს თავლის ხარისხობრივ პარამეტრებზე შემოწმებას, თუმცა მათ არ აქვთ შესაძლებლობა, შეამოწმონ თავლი უვნებლობის პარამეტრებზე. ამ შემთხვევაში, ექსპორტიორმა უნდა მიმართოს უცხოურ ლაბორატორიას. სურსათის ეროვნული სააგენტო (სეს) და/ან იმპორტიორი პარტნიორი უნდა დაეხმაროს ექსპორტიორს საერთაშორისო ლაბორატორიის შერჩევაში.

## სურსათის ეროვნული სააგენტო

სურსათის ეროვნული სააგენტო ვალდებულია:

დაინტერესებულ მხარეს მიაწოდოს თაფლის ლაბორატორიული ტესტების ჩამონათვალი.
მოახდინოს მეფუტკრეების/თაფლის საწარმოების ინფორმირება აკრძალული ანტიბიოტიკების შესახებ.
მოახდინოს იმ ვეტ. პრეპარატების რეგისტრაციის მონიტორინგი, რომლებიც შეიცავს მეფუტკრეობაში აკრძალულ ნივთიერებებს.
მოახდინოს ვეტ-აფთიაქების/მეფუტკრეობის მაღაზიების ინსპექტირება ვეტ. პრეპარატების ეტიკეტირების შესაბამისობის დადგენის მიზნით.
განახორციელოს ფიჭის მწარმოებელთა მონიტორინგი აკრძალულ ნივთიერებებზე.
მოახდინოს ნარჩენების მონიტორინგის გეგმის შედეგების ანალიზი და შემდეგი ნაბიჯების დაგეგმვა თაფლის სექტორის მთავარ დაინტერესებულ მხარეებთან.
გასცეს ვეტერინარული სერტიფიკატი თუ თაფლის მწარმოებელი აკმაყოფილებს სურსათის უვნებლობის მოთხოვნებს.

## როგორ დავაკმაყოფილოთ თაფლის ხარისხობრივი და უვნებლობის მოთხოვნები

თაფლის წარმოების პროცესი და პროდუქტი უნდა აკმაყოფილებდეს კანონმდებლობის მოთხოვნებს, რომლებიც მოცემულია აღნიშნული გზამკვლევის მე-7 გვერდზე. თაფლის მწარმოებელმა საწარმომ ყურადღებით უნდა შეისწავლოს და დანერგოს აღნიშნული მოთხოვნები; სასურველია თაფლის საწარმომ მიიღოს კონსულტაციები სურსათის ეროვნული სააგენტოსგან და სპეციალიზირებული კომპანიებისგან/პირებისგან, იხილეთ გვ.35-37.

- თაფლი მიღებული უნდა იყოს ჯანმრთელი ფუტკრისაგან და გამოდიოდეს ფუტკრის ინფექციური დაავადებების მხრივ კეთილსაიმედო მეურნეობიდან (რეგიონიდან).
- თაფლის ფერი, კონსისტენცია, არომატი და გემო, შაქრის შემცველობა (ფრუქტოზის და გლუკოზის საერთო რაოდენობა + საქაროზას შემცველობა), სინესტის მასური წილი, წყალში უხსნადი მყარი ნაწილაკები, ელექტროგამტარობა, საერთო მჟავიანობა, დიასტაზის რიცხვი და ჰიდროქსილმეთილფურფუროლის შემცველობა უნდა აკმაყოფილებდეს "თაფლის შესახებ ტექნიკური რეგლამენტით" განსაზღვრულ მოთხოვნებს, [www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge).
- თაფლი მიღებული უნდა იყოს საწარმოდან, სადაც დანერგილია HACCP-ის სისტემა.

### დაუშვებელია:

- თაფლში საკვებდანამატების და სხვა საკვები ინგრედიენტების დამატება.
- თაფლიდან ყვავილის მტერის ან სხვა შემადგენელი კომპონენტის მოცილება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მტერის ან სხვა შემადგენელი კომპონენტის მოცილება განპირობებულია მასში მოხვედრილი უცხო არაორგანული და ორგანული ნივთიერებების მოცილების აუცილებლობით.
- თაფლის გაცხელება და გადამუშავება ისე, რომ შეიცვალოს მისი ძირითადი მაჩვენებლები.

- თაფლის მჟავიანობის ხელოვნურად შეცვლა.
- გამოკრისტალებული თაფლის ქიმიური და ბიოქიმიური მეთოდებით დამუშავება.

**აკრძალულია:**

- არარეგისტრირებული ნივთიერების (სუბსტანციის) ან საშუალების გამოყენება, ასევე საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული ნივთიერების (სუბსტანციის) ან საშუალების არამიზნობრივად ან არასწორად გამოყენება.
- მეფუტკრე ფერმერმა არ უნდა გამოიყენოს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ანაბოლური მოქმედების მქონე ნივთიერებები და აკრძალული ნივთიერებები: სტილბენები, სტილბენების წარმოებულები, მათი მარილები და ეთერები; ანტითირეოიდული საშუალებები; სტეროიდები; რეზორცილის მჟავას ლაქტონები, მათ შორის ზერანოლი; ბეტა-აგონისტები; *Aristolochia spp.* და მისგან მიღებული პრეპარატები; ქლორამფენიკოლი; ქლორპრომაზინი; კოლხიცინი; დაპსონი; დიმეტრიდაზოლი; მეტრონიდაზოლი; ნიტროფურანები (მათ შორის, ფურაზოლიდონი); რონიდაზოლი.
- მეფუტკრე ფერმერმა ვეტერინარული პრეპარატები, მათ შორის ანტიბიოტიკები, როგორებიც არის სულფონომიდები, ტეტრაციკლინი, თილოზინი, სტრეპტომიცინი და ქინოლები, ასევე კარბამატები და პირეტროიდები უნდა გამოიყენოს თანხლები ინსტრუქციის შესაბამისად, ლოდინის (დაყოვნების) პერიოდის დაცვით.

**შენიშვნა:** თაფლი უნდა იყოს შემოწმებული და არ უნდა შეიცავდეს ისეთ ნივთიერებებს და გარემოს დამაბინძურებლებს, როგორებიცაა ქლორორგანული ნაერთები, მათ შორის, პოლიქლორბიფენილები, ფოსფორორგანული ნაერთები, ქიმიური ელემენტები, მიკოტოქსინები, რადიონუკლიდები.

დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ დანართი #1, „როგორ უნდა ავირიდოთ თაფლში ანტიბიოტიკების შემცველობა“ გვ.38.

# თაფლის ექსპორტის პროცესის მიმოხილვა

შემდეგ თავში მოცემულია ის ნაბიჯები, რომლებიც ექსპორტიორმა ყურადღებით უნდა გაიაროს ექსპორტის პროცესში.

## ნაბიჯი 1: ბიზნესოპერატორად რეგისტრაცია

თაფლის მწარმოებელი უნდა დარეგისტრირდეს კვების პროდუქტების მწარმოებელ ბიზნესოპერატორად. ამისთვის, მან უნდა მიმართოს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს. დეტალური ინფორმაცია სააგენტოს შესახებ იხილეთ გვ. 35.

რეგისტრაცია უფასოა და ხდება 1 თვემდე ვადაში.

## ნაბიჯი 2: ბიზნესოპერატორად აღიარება

ბიზნესოპერატორად რეგისტრაციის შემდეგ თაფლის საწარმომ უნდა მიიღოს ბიზნესოპერატორად აღიარება.

ბიზნესოპერატორად აღიარება ნიშნავს საწარმოს საქმიანობის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადასტურებას.

ბიზნესოპერატორად აღიარების მისაღებად თაფლის საწარმომ განცხადებით უნდა მიმართოს სურსათის ეროვნულ სააგენტოს.

განცხადება უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს: ბიზნესოპერატორის რეგისტრაციის ნომერი, ფაქტიური/იურიდიული მისამართი, საქმიანობის სახე, წარმოებული/გადამუშავებული ცხოველური წარმოშობის სურსათის სახეობა.

აღიარება ხორციელდება სეს-ის მიერ საწარმოს ინსპექტირების შედეგების მიხედვით.

ბიზნესოპერატორად აღიარების მიღება უფასოა.

ბიზნესოპერატორად აღიარების ვალდებულება ეხება თაფლის საწარმოს და არა მეფუტკრეს.

### ნაბიჯი 3: საექსპორტო დოკუმენტაცია

თავლის ექსპორტისთვის შემდეგი დოკუმენტებია საჭირო:

ვეტერინარული სერტიფიკატი
წარმოშობის სერტიფიკატი
კომერციული დოკუმენტები
საბაჟო დეკლარაცია
სატრანსპორტო დოკუმენტები
ლაბორატორიული ანალიზების ანგარიში (იმპორტიორის მოთხოვნის შემთხვევაში)

#### შენიშვნა:

ექსპორტისთვის საჭირო დოკუმენტაციის პაკეტი დამოკიდებულია პროდუქტის მიმღები სახელმწიფოს ან სახელმწიფოთა გაერთიანების და საქართველოს საკანონმდებლო მოთხოვნებზე. ამ სახელმძღვანელოს შემდეგ ნაწილებში მოცემულია სხვადასხვა დოკუმენტის განმარტება და მიღების პროცედურები და დოკუმენტაციის პაკეტები სხვადასხვა სახელმწიფოს შემთხვევაში , იხილეთ გვ.15-20; 23-34.

### ნაბიჯი 4: საექსპორტო პროდუქტის ტრანსპორტირება

ტრანსპორტირების პროცესში გასათვალისწინებელი ფაქტორები მოცემულია აღნიშნული გზამკლვევის დანართში #2, გვ. 39.
--

# საექსპორტო დოკუმენტაცია დეტალებში

## ვეტერინარული სერტიფიკატი

### რა დანიშნულება აქვს ვეტერინარულ სერტიფიკატს?

- ვეტერინარული სერტიფიკატი ადასტურებს, რომ პროდუქტი შემოწმებულია და აკმაყოფილებს იმპორტიორი ქვეყნის მოთხოვნებს.

### ვინ გასცემს ვეტერინარულ სერტიფიკატს?

- ვეტერინარულ სერტიფიკატს გასცემს სურსათის ეროვნული სააგენტო.

### როგორია სერტიფიკატის გაცემის ვადები და საფასური?

- ვეტერინარული სერტიფიკატის ასაღებად ბიზნესოპერატორმა განცხადებით უნდა მიმართოს სურსათის ეროვნულ სააგენტოს (თბილისში ან რეგიონულ სამმართველოში). სერტიფიკატის გაცემის საფასური 5 სამუშაო დღეში 50 ლარია, 1 სამუშაო დღეში - 100 ლარი, შაბათ-კვირას ან უქმე დღეს - 200 ლარი.

## ვეტერინარული სერტიფიკატის მიღების პროცესი

### ეტაპი 1: განაცხადის წარდგენა

- ვეტერინარულ სერტიფიკატს მიიღებს თავლის საწარმო, რომელსაც დანერგილი აქვს HACCP სისტემა და იცავს მიკვლევადობის პრინციპებს. ექსპორტიორი განცხადებით მიმართავს სურსათის ეროვნულ სააგენტოს, რათა მან გამოჰყოს უფლებამოსილი პირი, რომელიც დაესწრება საექსპორტო თავლის ნიმუშების აღების პროცესს.
- განცხადება სააგენტოს შეიძლება წარედგინოს როგორც წერილობითი, ისე ელექტრონული სახით ([www.nfa.gov.ge](http://www.nfa.gov.ge)).

### ეტაპი 2: თავლის ნიმუშების აღება

- სურსათის ეროვნულ სააგენტოსთან (სეს) შეთანხმებით სეს-ის ან თავად თავლის საწარმოს წარმომადგენელი იღებს თავლის ნიმუშს და ხდება თავლის პარტიის დალუქვა.
- თავლის ნიმუშს ენიჭება სპეციალური ნომერი.
- თუ თავლის ნიმუშის აღება ხდება სეს-ის წარმომადგენლის მიერ ივსება და გაიცემა სპეციალური აქტი, ხოლო თუ ნიმუშს იღებს თავლის საწარმოს წარმომადგენელი კეთდება შესაბამისი შიდა ჩანაწერი.

### **ეტაპი 3: ლაბორატორიული ანალიზები**

ექსპორტიორმა იმპორტიორთან უნდა გაარკვიოს თუ რომელ პარამეტრებზე უნდა ჩატარდეს ლაბორატორიული ანალიზები (რა მოთხოვნები აქვს თავლის მიმღებ ქვეყანას და რა დამატებით ანალიზებს ითხოვს იმპორტიორი), სასურველია, ამავე საკითხზე გაიაროთ კონსულტაციები სურსათის ეროვნულ სააგენტოსთან, იხილეთ გვ. 35 - თავლის ექსპორტის პროცესში მონაწილე მხარეთა ვალდებულებები.

### **ეტაპი 4: ნიმუშების გაგზავნა საერთაშორისო ლაბორატორიაში**

- კვლევისთვის გასაგზავნი თავლის მოცულობა 0.3-0.5 ლიტრია; ის იგზავნება სურსათისთვის დასაშვები პლასტმასის ჭურჭლით.
- ნიმუშების უცხოურ ლაბორატორიაში გაგზავნის შემთხვევაში რეკომენდირებულია კერძო საფოსტო მომსახურების გამოყენება.
- ნიმუშებს თან უნდა ახლდეს ინვოისი და შეფუთვის ფურცელი.
- რეკომენდებულია სააგენტოს მიერ გაცემული სარეკომენდაციო წერილი საბაჟო პროცედურების დაყოვნების თავიდან ასაცილებლად.
- ლაბორატორიული კვლევის შედეგები გაიცემა ნიმუშების მიღებიდან დაახლოებით 1 კვირის პერიოდში.

### **ეტაპი 5: ვეტერინარული სერტიფიკატის მიღება**

- ლაბორატორიული ანალიზების დადებითი შედეგების მიღების შემთხვევაში სერტიფიკატი გაიცემა მაშინ, როდესაც უკვე ცნობილია პროდუქციის ტრანსპორტირების დრო და ადგილი.
- ლაბორატორიის ანგარიში ქართულად თარგმნილი და ნოტარიულად დამოწმებული უნდა წარედგინოს სურსათის ეროვნულ სააგენტოს.
- ექსპორტიორი სააგენტოში წარადგენს განაცხადს, რომელშიც მიეთითება: ტვირთის დასახელება, რაოდენობა, შეფუთვა, ადგილმდებარეობა, დანიშნულების ქვეყანა, საზღვრის გადაკვეთის პუნქტი, მიმღების დასახელება და მისამართი, დატვირთვის დრო და ტრანსპორტირების პირობები.



## **წარმოშობის სერტიფიკატი**

### **რა დანიშნულება აქვს წარმოშობის სერტიფიკატს?**

ეს არის საქონლის აღწერის დოკუმენტი, რომლითაც მისი გამცემი უფლებამოსილი ორგანო ერთმნიშვნელოვნად ადასტურებს, რომ საქონელი, რომელზეც გაცემულია ეს სერტიფიკატი, წარმოშობილია საქართველოდან.

### **ვინ გასცემს წარმოშობის სერტიფიკატს?**

საქონლის წარმოშობის სერტიფიკატს გასცემს შემოსავლების სამსახური და ასევე, საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა.

## **წარმოშობის სერტიფიკატის სახეები**

წარმოშობის სერტიფიკატი შეიძლება იყოს:

- არაპრეფერენციული წარმოშობის - ამ ტიპის სერტიფიკატი საქონელს ანიჭებს „ეკონომიკურ“ ეროვნებას და არ იძლევა რაიმე სახის სატარიფო უპირატესობას.
- პრეფერენციული წარმოშობის - ამ ტიპის სერტიფიკატი ადგენს გარკვეულ სატარიფო უპირატესობებს - შემცირებული ან ნულოვანი განაკვეთი საქონლისათვის, რომელიც ვაჭრობის საგანს წარმოადგენს პრეფერენციული ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა შორის. აქედან გამომდინარე, არაპრეფერენციული წარმოშობის წესებთან შედარებით, პრეფერენციული წარმოშობის წესები უფრო მკაცრია.

## **წარმოშობის სერტიფიკატის მისაღებად საჭირო ინფორმაცია**

ექსპორტიორმა სერტიფიკატის მისაღებად შემოსავლების სამსახურს ან საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატას შემდეგი მონაცემები უნდა წარუდგინოს:

- ექსპორტიორი კომპანიის მონაცემები (დასახელება, საიდენტიფიკაციო კოდი, მისამართი, საკონტაქტო ინფორმაცია).
- მიმღები კომპანიის მონაცემები (დასახელება, საიდენტიფიკაციო კოდი, მისამართი, საკონტაქტო ინფორმაცია).
- საექსპორტო პროდუქტის წარმოშობის ქვეყანა.
- ინვოისი.
- ტვირთის დასახელება.
- ტვირთის რაოდენობა.
- ტვირთის წონა (ნეტო და ბრუტო).

## **როგორია საქონლის წარმოშობის სერტიფიკატის გაცემის ვადები და საფასური?**

ბიზნეს ოპერატორმა უნდა წარადგინოს შევსებული „საქონლის კუთვნილებისა და კრიტერიუმის შესახებ“ დეკლარაცია და ინვოისი, რის საფუძველზეც შემოსავლების სამსახური სერტიფიკატს გასცემს განცხადებიდან 3 დღის ვადაში, ეს სერვისი უფასოა. სერტიფიკატის გაცემა ასევე შეუძლია საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატასაც, ამ შემთხვევაში სერტიფიკატის საფასურია 100 ლარი და გაცივმა განცხადებიდან 1 დღის ვადაში.

## **საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან საქონლის გატანისას გაცივმა 5 სახის წარმოშობის სერტიფიკატი:**

- საქონლის შეღავათების გარეშე (არაპრეფერენციული) წარმოშობის სერტიფიკატი.
- საქონლის შეღავათიანი (პრეფერენციული) წარმოშობის სერტიფიკატი – ფორმა A - გაცივმა პროდუქტზე, რომელიც ექსპორტზე უნდა გავიდეს იაპონიაში, კანადაში ან აშშ-ში.
- პრეფერენციული წარმოშობის სერტიფიკატი CT-1 - გაცივმა პროდუქტზე, რომელიც ექსპორტზე უნდა გავიდეს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრ ქვეყანაში.
- პრეფერენციული წარმოშობის სერტიფიკატი EUR 1 - გაცივმა პროდუქტზე, რომელიც ექსპორტზე უნდა გავიდეს ევროკავშირში, თურქეთში ან თავისუფალი ვაჭრობის ევროპული ასოციაციის წევრ ქვეყნებში.
- საქართველოს მთავრობასა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებით გათვალისწინებული წარმოშობის სერტიფიკატი.

## კომერციული დოკუმენტები

საექსპორტო პროდუქციას თან უნდა ახლდეს ანგარიშ-ფაქტურა (ინვოისი), შეფუთვის ფურცელი, საქონლის ნასყიდობის ხელშეკრულება (სავალდებულო არ არის) ან მხარეთა შორის საანგარიშსწორებო სხვა დოკუმენტი.

ინვოისის საფუძველზე გაიცემა სხვა დანარჩენი სავალდებულო საბუთი, რომელიც საჭიროა პროდუქციის ექსპორტისთვის.

### ვინ ადგენს კომერციულ დოკუმენტებს?

კომერციულ დოკუმენტებს ადგენს ექსპორტიორი იმპორტიორთან შეთანხმებით. მასში უნდა შევიდეს შემდეგი მონაცემები: ექსპორტიორი და იმპორტიორი კომპანიების მონაცემები (დასახელება, საიდენტიფიკაციო კოდი, მისამართი, საკონტაქტო ინფორმაცია), გადაზიდვის პირობა, ტვირთის დასახელება, ტვირთის წონა (ნეტო და ბრუტო) და ღირებულება, წარმოშობის ქვეყანა, ექსპორტიორი კომპანიის დირექტორის ხელმოწერა და ბეჭედი, ინვოისის ნომერი, კონტრაქტის ნომერი (ნებაყოფლობითია).

## სატრანსპორტო დოკუმენტები

ეს არის დოკუმენტი, რომელშიც წარმოდგენილია ტვირთის ზოგადი აღწერილობა და შეიცავს ისეთ ინფორმაციას როგორც არის: ადგილების რაოდენობა, ბრუტო და ნეტო წონა, სასაქონლო კოდი, კონტეინერის ნომერი, ინფორმაცია გადამზიდავის, საქონლის გამგზავნის, ჩატვირთვის ადგილის, ასევე დანიშნულების ადგილისა და საქონლის მიმღების შესახებ.

### სატრანსპორტო დოკუმენტი განსხვავდება ტრანსპორტირების ტიპის მიხედვით:

- საავტომობილო ტრანსპორტით გადაზიდვის დროს: სატრანსპორტო ზედნადები (CMR) ან TIR-წიგნაკი.
- საზღვაო ტრანსპორტით გადაზიდვის დროს - კონოსამენტი.
- საჰაერო ტრანსპორტით გადაზიდვის დროს - ავიაზედნადები.

- სარკინიგზო ტრანსპორტით გადაზიდვის დროს – სარკინიგზო ზედნადები.

**ვინ გასცემს აღნიშნულ დოკუმენტებს?**

სატრანსპორტო დოკუმენტებს ავსებს და გასცემს სატრანსპორტო კომპანია ექსპორტიორის მიერ წარდგენილი ინვოისისა და შეფუთვის ფურცლის საფუძველზე. სატრანსპორტო დოკუმენტს შემდგომ ექსპორტიორი წარუდგენს შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტს.

**საბაჟო დეკლარაცია**

ეს არის დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს თუ რა სახის, რაოდენობისა და ღირებულების ტვირთი/საქონელი კვეთს ქვეყნის საზღვარს. აღნიშნული დოკუმენტით ტვირთი ექცევა საბაჟო რეჟიმში.

**ვინ გასცემს საბაჟო დეკლარაციას?**

სატვირთო საბაჟო დეკლარაციას გასცემს შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტი.

**როგორია საბაჟო დეკლარაციის გაცემის ვადები და საფასური?**

საბაჟო დეკლარაციის ასაღებად ექსპორტიორმა შემოსავლების სამსახურში უნდა წარადგინოს ინვოისი და სატრანსპორტო დოკუმენტი. საბაჟო დეკლარაცია უფასოა და გაიცემა 2 სამუშაო დღეში.

## რამდენიმე რჩევა თაფლის ექსპორტით დაინტერესებულ კომპანიებს

მიმღები ქვეყანა, სადაც აპირებთ თაფლის ექსპორტს ყურადღებით უნდა შეარჩიოთ, უნდა გაითვალისწინოთ მათი და საქართველოს საკანონმდებლო მოთხოვნები.

- შეისწავლეთ მიმღები ქვეყნის საკანონმდებლო მოთხოვნები და აღნიშნულ გზამკვლევაში მოცემული საკითხები, სხვა გასათვალისწინებელი ფაქტორები და აწონ-დაწონეთ, შეგიძლიათ თუ არა ამ მოთხოვნების დაკმაყოფილება.

### კარგად დაგეგმეთ ექსპორტის პროცესი

უპასუხეთ შემდეგ კითხვებს:

- გყავთ თუ არა თანამშრომელი, რომელიც უზრუნველყოფს საექსპორტო დოკუმენტაციის მომზადებას?
- შეგიძლიათ სათანადო რაოდენობის თაფლის სათანადო დროში მიწოდება?
- აკმაყოფილებს თქვენი შეფუთვა და ეტიკეტირება მიმღები ქვეყნის მოთხოვნებს?
- რა დაგეგმილი და გაუთვალისწინებელი ხარჯები შეიძლება ახლდეს საექსპორტო ოპერაციას?

### სწორად შეარჩიეთ იმპორტიორი-პარტნიორი

უპასუხეთ შემდეგ კითხვებს:

- ვინ არის თქვენი პარტნიორი - სავაჭრო ქსელი? დისტრიბუტორი კომპანია?
- გამოიყენებთ საბროკერო კომპანიებს?
- საჭიროა ერთობლივი კომპანიის შექმნა?
- ზუსტად, მკაფიოდ, სრულად და წერილობით არის შეთანხმებული იმპორტიორთან საექსპორტო ოპერაციის ყველა პირობა (ამ

სახელმძღვანელოში მოცემული საკითხები, მხარეთა ვალდებულებები, თანხის გადახდის პირობები...)?

- იმპორტიორი/თქვენი პარტნიორი კარგად ერკვევა მისი ქვეყნის საკანონმდებლო მოთხოვნებში?
- გათვალისწინებულია ენობრივი ბარიერის ან ადგილობრივი კულტურის გავლენის რისკი ბიზნესოპერაციებზე?

### **დაიჭირეთ თადარიგი პროდუქციის სათანადო შეფუთვისთვის**

ექსპორტის პროცესში ერთ-ერთი გასათვალისწინებელი ფაქტორია პროდუქციის ტარა. იმპორტიორები ითხოვენ თაფლის მიწოდებას ძირითადად 3 ტიპის ჭურჭლით: 1. მინის ან პლასტმასის ქილებში, 2. პლასტმასის სათლებში (20-35 ლ.) ან/და 3. მეტალის ცილინდრულ ავზებში (220 ლ.). საქართველოში სამივე ტიპის შეფუთვის მოძიება პრობლემურია. მათი მცირე რაოდენობით შემოტანა კი საკმაოდ რთული, ძვირი და ხანგრძლივი პროცესია. ამიტომ ექსპორტიორს წინასწარ უნდა ჰქონდეს მოძიებული ინფორმაცია ჭურჭლის მწარმოებლებზე და შემომტანებზე და მზად იყოს თაფლის მიმღების/იმპორტიორის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

### **მიიღეთ კონსულტაციები**

გადაწყვეტილების მიღებამდე ყველა საკითხი დააზუსტეთ ამ სახელმძღვანელოში მითითებული ორგანიზაციების სპეციალისტებთან, ექსპორტ-იმპორტის პრაქტიკოსებთან და კონსულტანტებთან.

# პოტენციური საექსპორტო ქვეყნებისა და ქვეყანათა გაერთიანებების მიმოხილვა

აღნიშნულ თავში წარმოდგენილია იმ იმპორტიორი ქვეყნების ძირითადი მოთხოვნები, სადაც ქართული თაფლის ექსპორტის პოტენციალი მაღალია.

## ევროკავშირი

ევროკავშირი თაფლის ერთ-ერთი ყველაზე დიდი მწარმოებელია ჩინეთის შემდეგ და აწარმოებს 250 ათას ტონა თაფლს წელიწადში, აქედან 60% ადგილობრივი მოხმარებისაა. ამავდროულად, ევროკავშირი მსოფლიოში თაფლის უმსხვილესი იმპორტიორია. იმპორტირებული თაფლის მოცულობამ 2018 წელს შეადგინა 207 414 ტონა (498 მლნ. ევრო).

ევროპის კავშირი, შემოკლებით - ევროკავშირი, არის ევროპის სახელმწიფოთა ეკონომიკურ-პოლიტიკური გაერთიანება. ევროკავშირის წევრია ევროპის 28 ქვეყანა:

ავსტრია, ბელგია, ბულგარეთი, ხორვატია, კვიპროსი, ჩეხეთი, დანია, ესტონეთი, ფინეთი, საფრანგეთი, გერმანია, საბერძნეთი, უნგრეთი, ირლანდია, იტალია, ლატვია, ლიეტუვა, ლუქსემბურგი, მალტა, პოლანდია, პოლონეთი, პორტუგალია, რუმინეთი, სლოვაკეთი, სლოვენია, ესპანეთი, შვედეთი და გაერთიანებული სამეფო.

- ექსპორტირებული თაფლი უნდა აკმაყოფილებდეს ევროკომისიის 1996 წლის 29 აპრილის # 96/23/EC დირექტივას.
- შეკვეთის განხორციელებამდე იმპორტიორი ითხოვს თაფლის ნიმუშების გაგზავნას, რათა დარწმუნდეს, რომ თაფლი შეესაბამება ევროკავშირის მოთხოვნებს.

## საბაჟო მოსაკრებლები

საქართველოდან ევროკავშირში შეტანილი თაფლი თავისუფლდება საბაჟო გადასახადისგან. თუმცა, შემსყიდველთან პროდუქციის ფასის შეთანხმებისას გასათვალისწინებელია ის, რომ თაფლის იმპორტიორი (ევროკავშირში შემსყიდველი) პირი იხდის დამატებული ღირებულების გადასახადს (18-22 % იმპორტირებული პროდუქტის წარმოშობის ქვეყნის მიხედვით).

ექსპორტისთვის აუცილებელი დოკუმენტები:

ვეტერინარული სერტიფიკატი წარმოშობის სერტიფიკატი, ფორმა EUR1	დედაქალაქი	ბრიუსელი (დე ფაქტო)
კომერციული დოკუმენტები	სახელმწიფო ენა	24 ენა
სატვირთო საბაჟო დეკლარაცია	მოსახლეობა	511,805,088
სატრანსპორტო დოკუმენტი	ფართობი (კვ. კმ.)	4,475,757
	მშპ (\$)	21,700,000,000,000
	ვალუტა	ევრო
	სატელეფონო კოდი	-
	სასაათე სარტყელი	+1 +3

მნიშვნელოვანია, იმპორტიორის მიერ ტვირთის თანმხლები დოკუმენტები აიტვირთოს ვაჭრობის კონტროლისა და ექსპერტის სისტემაში (Traces) და მოხდეს ევროკავშირის მიმღები საბაჟო პუნქტის წინასწარ გაფრთხილება.

ევროკავშირი ყველაზე სტაბილური და მსხვილი საექსპორტო ბაზარია ქართული თაფლისთვის. ამ დროისთვის, იმპორტირებული თაფლი მოთხოვნის 40%-ს აკმაყოფილებს. ევროკავშირის მოთხოვნები საკმაოდ მკაცრია, თუმცა საქართველოს აქვს შესაძლებლობა დააკმაყოფილოს იგი და შევიდეს ევროკავშირის ბაზარზე, განსაკუთრებით კი ნიშა ბაზარზე მაღალი ღირებულების თაფლით.



## ამერიკის შეერთებული შტატები

ამერიკის შეერთებული შტატები (აშშ) მსოფლიოში თაფლის წარმოების მოცულობით მე-4 ადგილზეა. აშშ-ში წლიურად 75,000 ტონამდე თაფლი იწარმოება, აქედან 80% კალიფორნიის შტატზე მოდის. აშშ თაფლის მოხმარების მხრივაც ერთ-ერთი ლიდერი ქვეყანაა (230,000 ტონა წელიწადში).

- საქართველოსა და აშშ-ს შორის სავაჭრო ურთიერთობები რეგულირდება ვაჭრობისა და ინვესტიციების შესახებ საქართველოსა და ამერიკის შეერთებული შტატებს შორის შეთანხმებით.
- ექსპორტირებული თაფლი უნდა შეესაბამებოდეს ამოღებული თაფლის ხარისხის აშშ-ის სტანდარტის (United States Standards for Grades of Extracted Honey) მოთხოვნებს.

ექსპორტისთვის აუცილებელი დოკუმენტები:

ვეტერინარული სერტიფიკატი, წარმოშობის სერტიფიკატი ფორმა A კომერციული დოკუმენტი საბაჟო დეკლარაცია სატრანსპორტო დოკუმენტი	დედაქალაქი სახელმწიფო ენა მოსახლეობა ფართობი (კვ. კმ.) მშპ (\$) ვალუტა სატელეფონო კოდი სასაათე სარტყელი	ვაშინგტონი ინგლისური 325,719,178 9,833,520 20,199,000,000,000 აშშ დოლარი 1 -4 ... -12, +10, +11
--	--	--

გარდა ამ დოკუმენტებისა, აშშ-ს მხარე მოითხოვს True Source სერტიფიკატს, რომელიც ადასტურებს თაფლის ნატურალურობას. სერტიფიკატს გასცემს აკრედიტებული და ავტორიზებული კომპანია. ასეთი კომპანია საქართველოში არ ოპერირებს, ამიტომ ექსპორტიორმა იმპორტიორისგან უნდა მიიღოს რეკომენდაცია ასეთი ორგანიზაციის შესახებ. სერტიფიკატის მისაღებად ექსპორტიორი სააპლიკაციო ფორმას და წინასწარი აუდიტის კითხვარს უგზავნის მასერტიფიცირებელ კომპანიას. აუდიტი ტარდება წარმოების ადგილზე. აუდიტის შემდეგ საწარმოს ეძლევა რეკომენდაციები და ვადა, რათა აღმოფხვრას შეუსაბამობები. თუკი ექსპორტიორი პასუხობს მასერტიფიცირებელი ორგანოს მოთხოვნებს, იგი იღებს სერტიფიკატს. პროცედურის ჯამური ღირებულება მერყეობს 1,700 \$-დან 10,000 \$-მდე და

დამოკიდებულია წარმოების მოცულობაზე. სერტიფიკატს ერთწლიანი ვადა აქვს, რის შემდეგაც ტარდება ხელმეორე აუდიტი.

საერთაშორისო ვაჭრობაში ამერიკის შეერთებულ შტატებს ყველაზე მაღალი დეფიციტი აქვს თაფლის. თავის მხრივ, ეს ადასტურებს ამერიკის ნაკლებ კონკურენტუნარიანობას კონკრეტული პროდუქტის წარმოებაში, თუმცა წარმოადგენს საკმაოდ დიდ პოტენციალს საქართველოსთვის. შესაძლებელია ქართული თაფლის ექსპორტით მოხდეს ამერიკელი მომხმარებლების მოთხოვნილების დაკმაყოფილება. მართალია True Source სერტიფიკატის ქვეყანაში ხელმიუწვდომობა გაზრდის ქართული თაფლის თვითღირებულებას, თუმცა ქართულ თაფლს აქვს პოტენციალი შევიდეს აშშ-ში ბიო/ორგანული თაფლის ბაზარზე.

## თურქეთის რესპუბლიკა

თურქეთი მსოფლიოში თავლის წარმოების მიხედვით მე-3 ადგილზეა (115,000 ტონა წელიწადში). თურქეთის თავლი მაღალი ხარისხისაა, რაც სხვა მიზეზებთან ერთად იმითაც არის განპირობებული, რომ თავლი ძირითადად კავკასიური ფუტკრისგან მიიღება.

საქართველოსა და თურქეთს შორის სავაჭრო ურთიერთობები რეგულირდება თურქეთის რესპუბლიკასა და საქართველოს შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებით და DCFTA-ს რეგულაციებით. თურქეთში საქართველოდან ჯამურად 200 ტონამდე ექსპორტირებული თავლი არ იბეგრება, 200 ტონაზე გადაჭარბებულ რაოდენობაზე კი მოქმედებს 38,5 % საბაჟო გადასახადი. მიუხედავად ამისა, ამ დროისთვის საქართველოდან თურქეთში თავლი შუამავლებს გადააქვთ არალეგალურად და ოფიციალური ექსპორტი ჯერ არ განხორციელებულა.

ექსპორტისთვის საჭირო დოკუმენტები

ვეტერინარული სერტიფიკატი	დედაქალაქი	ანკარა
წარმოშობის სერტიფიკატი EUR 1	სახელმწიფო ენა	თურქული
კომერციული დოკუმენტები	მოსახლეობა	82,835,090
საბაჟო დეკლარაცია	ფართობი (კვ. კმ.)	783,356
სატრანსპორტო დოკუმენტი	მშპ (\$)	2,132,717,000,000
	ვალუტა	თურქული ლირა
	სატელეფონო კოდი	90
	სასაათე სარტყელი	+3

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს აქვს შესაძლებლობა 200 ტონამდე თავლი გაიტანოს თურქეთში ექსპორტზე დაბეგრის გარეშე, ქართული კომპანიებისთვის კვლავ სირთულეს წარმოადგენს თავლის თურქეთში ექსპორტირება, რადგან თურქეთის თავლის ბაზარი ერთ-ერთი ყველაზე დაცული ბაზარია მსოფლიოში. სხვა ქვეყნების მიერ ნაწარმოები იაფი თავლის იმპორტისგან ბაზრის დასაცავად, მთავრობამ გაზარდა ადგილობრივ ბაზარზე ნაწარმოები თავლის ფასი, რამაც მოახდინა თურქ მეფუტკრეთა წახალისება და თავლის წარმოების ზრდა. გასათვალისწინებელია, რომ თურქეთში მოსახლეობის რაოდენობის ზრდის კვალდაკვალ იზრდება თავლის მთლიანი მოხმარებაც და უახლოეს წლებში ქვეყანაში შეიქმნება დისბალანსი თავლის წარმოებასა და მოხმარებას შორის.

## აზერბაიჯანის რესპუბლიკა

აზერბაიჯანი წლიურად დაახლოებით 5 000 ტონა თაფლს აწარმოებს. 2018 წელს აზერბაიჯანის მიერ ექსპორტირებული თაფლის მოცულობამ 8,3 ტონა, ხოლო იმპორტირებული თაფლის მოცულობამ 88 ტონა შეადგინა. საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის სავაჭრო ურთიერთობები რეგულირდება საქართველოს მთავრობასა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის მთავრობას შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებით.

ექსპორტისთვის საჭირო დოკუმენტები:

კომერციული დოკუმენტები	დედაქალაქი	ბაქო
საბაჟო დეკლარაცია	სახელმწიფო ენა	აზერბაიჯანული
სატრანსპორტო დოკუმენტი	მოსახლეობა	9,867,250
	ფართობი (კვ. კმ.)	86,600
	მშპ (\$)	166,804,000,000
	ვალუტა	მანათი
	სატელეფონო კოდი	994
	სასაათე სარტყელი	+4

აღნიშნული დოკუმენტები არის სავალდებულო, თუმცა, იმპორტიორმა დამატებით შეიძლება მოითხოვოს წარმომშობის სერტიფიკატი და/ან ვეტერინარული სერტიფიკატი.

აზერბაიჯანის მიერ თაფლის რაოდენობის მოხმარების, ფასებისა და წაბლის თაფლზე მაღალი მოთხოვნის გათვალისწინებით საქართველოს აქვს პოტენციური შევიდეს აზერბაიჯანის ბაზარზე წაბლის თაფლით. თუმცა, პროტექციონიზმი და საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარზე არაგამჭვირვალე საბაჟო პროცედურები ართულებს ექსპორტის პროცედურას.

## სომხეთის რესპუბლიკა

სომხეთი წლიურად დაახლოებით 2,000 ტონა თაფლს აწარმოებს. 2016 წელს, სომხეთიდან ექსპორტირებულმა თაფლის მოცულობამ 88 ტონა შეადგინა, ხოლო იმპორტირებულმა - 57 ტონა. საქართველოსა და სომხეთს შორის სავაჭრო ურთიერთობები რეგულირდება თავისუფალი სავაჭრო ზონის შექმნის შესახებ შეთანხმებით. გასათვალისწინებელია, რომ სომხეთი არის ევრაზიის ეკონომიკური კავშირის წევრი და ამ კავშირის წევრი ქვეყნები (გარდა სომხეთისა - რუსეთი, ბელორუსი, ყაზახეთი და ყირგიზეთი) ერთობლივად იღებენ გადაწყვეტილებას ამ კავშირის წევრ რომელიმე ქვეყანაში სხვა ქვეყნიდან პროდუქციის შეტანის თაობაზე.

### ექსპორტისთვის საჭირო დოკუმენტები

ვეტერინარული სერტიფიკატი, წარმოშობის სერტიფიკატი CT-1	დედაქალაქი	ერევანი
კომერციული დოკუმენტი	სახელმწიფო ენა	სომხური
საბაჟო დეკლარაცია	მოსახლეობა	2,924,816
სატრანსპორტო დოკუმენტი	ფართობი (კვ. კმ.)	29,743
	მშპ (\$)	27,212,000,000
	ვალუტა	დრამი
	სატელეფონო კოდი	374
	სასაათე სარტყელი	+4

